პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 მარტი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 64 (15885)

აქედანვე ვიბრძოლოთ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის უხვი მოსავლისათვის!

მხვნელ-მთესველებო, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი ხელსაყრელი ამინდი, ყოველი დღე, საათი, მტკიცედ დავიცვათ აგროვადები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში!

აბაშის რაიონში მოწინავეა სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა. გასულ წელს კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება. მათ გეგმით გათვალისწინებული 850-ის ნაცვლად 2.139 ცენტნერი რძე ჩააბარეს. ყოველ საფურაეე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 2.327 კილოგრამი რძე.

განსაკუთრებით კარგად იშრომა ახალგაზრდა მწველავმა ელისო ცომაიამ (სურათზე), რომელმაც მასზე გაპირონებული 14 ძროხიდან თვითეულზე 2.900 კილოგრამი რძე მიიღო.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, რაიონული საბჭოს დეპუტატმა, სკკპ წევრობის კანდიდატმა ელისო ცომაიამ პირობა დადო ყოველ ძროხაზე წველადობა 3.200 კილოგრამამდე გაზარდოს.

ბ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს დღეები სოფლად

დათესილია 12.660 ჰექტარი

მარტის ხელსაყრელ დღეებს კარგად იყენებენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები. საგაზაფხულოდ თესავენ თავთავიანი მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, კარტოფილი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურები დათესილი 12.660 ჰექტარზე.

რესპუბლიკაში ქერი, ხორბალი, ბოსტნეული ყველაზე მეტი — 4.989 ჰექტარზე დათესილა გარდაბნის რაიონში. აქედან მარტო ბოსტნეულია 2.100 ჰექტარი.

დაწინაურდნენ სამტრედიის რაიონის მხვნელ-მთესველები, რომლებმაც საგაზაფხულო კულტურები დათესეს 1.080 ჰექტარზე. მათ შორის ბოსტნეული — 525 ჰექტარზე.

თესვის ტემპს ყოველდღე აძლიერებენ აფხაზეთის სსს რესპუბლიკის მშრომელები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ საგაზაფხულო კულტურები დათესილია 1.021 ჰექტარზე.

შაქრის ჭარხალი. დათესილი საგაზაფხულო კულტურებიდან რესპუბლიკაში შაქრის ჭარხალი დათესილია 157 ჰექტარზე, ეს შარშან ამავე დროისათვის დათესილ ფართობს 10-ჯერ აღემატება.

ბოსტნეული. საქართველოში დათესილი საგაზაფხულო კულტურებიდან ბოსტნეული დათესილია 5.842 ჰექტარზე. ეს შარშან ამ დროისათვის დათესილზე 727 ჰექტარით მეტია. ხაშურის რაიონში ბოსტნეული დათესილია 73 ჰექტარზე, კასპის — 81, გორის — 182, გურჯაანის — 7, სიღნაღის — 10, წითელწყაროს — 2, ყვარლის — 21, გარდაბნის 2.100, მცხეთის — 29, წყალტუბოს — 823, სამტრედიის — 1060, წულუკიძის — 311, ვანის — 301, მაიაკოვსკის — 54, ზესტაფონის — 8, თერჯოლის — 77, საჩხერის — 19, აბაშის რაიონში — 322, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 79, აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში — 187 ჰექტარი ბოსტნეული.

კარტოფილი. რესპუბლიკაში კარტოფილი დათესილა 218 ჰექტარი. ხაშურის რაიონში კარტოფილი დათესილა — 16 ჰექტარი, სიღნაღის რაიონში — 2, წითელწყაროს — 4, ბოლნისის რაიონში — 138, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 3, აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში — 55 ჰექტარი.

მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახი. საქართველოს სსს რესპუბლიკაში მრავალწლიანი ბალახი დათესილა 200 ჰექტარი, ერთწლიანი ბალახი — 3.727 ჰექტარი.

მხვნელ-მთესველებო, ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად გამოვიყენოთო, მტკიცედ დავიცვათ აგროვადები, დავაჩქაროთ საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი, საფუძველი ჩავუყაროთ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

შ. ჭოჭუა.

ჩაის პლანტაციებში

ჩოხატაური. (საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს ერთწლიან და მრავალწლიან კულტურათა უხვი მოსავლისათვის ბრძოლა მეოთხე განმსაზღვრელ წელს. სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები ენერგიულად შრომობენ მინდვრებსა და პლანტაციებში, მეწაიეებმა უკვე დამთავრეს 140 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მსუბუქი შებარვა, მიხერალური სასუქების შეტანა. ჩაის პლანტაციებში ნიადაგის დამუშავება ყველაზე ადრე —10 იანვრამდე დაამთავრეს იმ ბრიგადების წევრებმა, რომლებსაც ლ. ქერქაძე და რ. ცენტერაძე ხელმძღვანელობენ. მიმდინარე სამუშაოებს მაღალ აგროტექნიკურ ვადებში ასრულებენ მეოთხე ბრიგადის მშრომელები. მათს პლანტაციებში ნათლად იგრძნობა გამრჯე კაცის მაღლიანი მარჯვენის ძალა.

ჩინებულად შრომობენ სოფელ მეორე ბერეჟოულის კოლმეურნეობის მეწაიეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს პლანტაციებში ზამთრის სამუშაოები. ახლა ისინი მინდოლებით ბრძვიან საგაზაფხულო სამუშაოთა რაც შეიძლება დროულად დამთავრებისათვის. თავი გამოიჩინეს პირველი ბრიგადის (ბრიგადირი მ. სირაძე) წევრებმა, რომლებმაც პლანტაციებში დამატებით შეიტანეს 126 ტონა ტორფი. ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირება. საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდნენ კოლმეურნეები ე. დოლიძე, ნ. კაკურია, ც. დოლიძე, შ. კიკვაძე, მ. დოლიძე და სხვა მეწაიეები.



პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა

ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

15 მარტს ალმა-ათაში საზეიმო სხდომა გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **დ. ა. კუნაევმა.**

ამ საზეიმო და სამახსოვრო ჟამს ნება მიბოძეთ ყველა ყამირელის სახელით უაღრესად მხურვალე მადლობა გადავუხადო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყამირის მშრომელებისადმი მისალმებისათვის, მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, რაც აღგვაფრთოვანებს ახალი წარმატებების მისაღწევად, თქვა ორატორმა. გავა დრო, მაგრამ ლეგენდარული გმირობა არასოდეს არ წაიშლება ხალხის მეხსიერებაში, რომელმაც ამ გმირობისათვის გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები ოცი წლის წინათ.

მარტო ყაზახეთში მოკლე ვადაში ათვისებული იყო 25 მილიონი ჰექტარი საუკუნეების მანძილზე უდაბური ნაყოფიერი მიწა. ამგვარი მასშტაბი რესპუბლიკას არ ახსოვს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

ყამირმა ასკეცად აანაზღაურა შრომა. მან საშუალება მოგვცა ქვეყნის აღმოსავლეთში შეგვექმნა ახალი მსხვილი მარცვლეულისა და მეცხოველეობის ბაზა, გაგვეუმჯობესებინა მშრომელთა კეთილდღეობა, განგვმტკიცებინა სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

ყამირის ათვისებამდე ყაზახეთი სახელმწიფოს აბარებდა 70-80 მილიონ ფუთ მარცვლეულს. ყამირის ათვისებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების მეოხებით მარცვლეულის წარმოების საშუალო-წლიურმა მოცულობამ მიმდინარე ხუთწლედში უკვე გადააჭარბა ხუთწლედის დამლევისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით დაგეგმილ დონეს. ახლა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის საშუალო-წლიური მიყიდვა შეადგენს 943,7 მილიონ ფუთს, ხორცის, რძის, მატყლის დამზადება გაიზარდა სამჯერ და მეტად, გაიზარდა პირუტყვის სულადობაც. აი რას ნიშნავს ყამირი!

დღეს, ამბობს შემდეგ ორატორი, ჩვენთვის განსაკუთრებით საპატიოა ის, რომ ჩვენს ზეიმს ესწრება ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩეული მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. ლეონიდ ილიას-ძეს ჩვენში გულწრფელად პატივს სცემს ყველა. ყაზახეთელებს აქვთ ამ პატივისცემის განსაკუთრებული უფლება, რომელსაც დამაჯერებლად ადასტურებს ამაღელვებელი ყამირის ეპოპეა, შეიძლება ითქვას, ყოველი წელი, ჩვენი რესპუბლიკის სწრაფი ზრდის ყოველი წელი.

ყამირის ათვისების ღირსსახსოვარ წლებში ლეონიდ ილიას-ძე მეთაურობდა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, და ჩვენ კარგად ვიცით, რამდენი ძალ-ღონე, შრომა და ენერგია მოახმარა ყამირს თვით ლეონიდ ილიას-ძემ.

მრავალი წერილი, თითქოს თავისებური მოგონება, მოდის ამ დღეებში პარტიულ კომიტეტებში. ამ წერილებში ყამირის ვეტერანები — პარტიული მუშაკები, იმ დაუვიწყარი წლების სახელგანთქმული მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უდიდესი სიყვარულით და სითბოთი წერენ ლეონიდ ილიას-ძესთან შეხვედრებზე, მის უბრალოებასა და გულისხმიერებაზე, მშრომელი ადამიანებისადმი გულითად დამოკიდებულებაზე, მისთვის დამახასიათებელ პარტიულ პრინციპულობაზე, მომთხოვნელობაზე, უძრაობისადმი შეუწყნარებლობაზე, დიდ ორგანიზატორულ უნარსა და პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანის გადაჭრისადმი ნამდვილ შემოქმედებითს მიდგომაზე.

და როცა ახლა ამაზე თქვენ, როგორღაც უნებლიეთ ახლებურად იკითხება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის 1918 წლის 30 იანვრის წერილი, რომელშიც იგი პეტროგრადის საბჭოს ურჩევდა დახმარებოდა პირველ ყამირელებს, რომლებიც აღმოსავლეთ ყაზახეთში მიეგზავნებოდნენ, „აერჩიათ **გამოცდილი** პრაქტიკოს-ორგანიზატორი“.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ლეონიდ ილიას-ძე ნამდვილად რომ ასეთი გამოცდილი ორგანიზატორი გახდა. უდიდესმა გამოცდილებამ, ნამდვილმა ბოლშევიკურმა გეგანებამ, ცენტრალური კომიტეტისა და მთელი პარტიის გარშემო ხალხის შეკავშირების უნარმა — ყოველივე ამან დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა ლეონიდ ილიას-ძეს როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის, ისე შორს მის ფარგლებს გარეთ.

გატეხილი ყამირი, რომლის ათვისებას ბევრი ძალ-ღონე და შრომა მოახმარა ლეონიდ ილიას-ძემ, საბჭოთა ყაზახეთის მეორე სახელი გახდა.

მან არა თუ სული შთაბერა ყაზახეთის ველების თვალუწვდენ სივრცეებს, არამედ ძირფესვიანად შეუცვალა სახე მთელ რესპუბლიკას, დააჩქარა მისი სწრაფი ამოძვლობა ახალი მწვერვალებისაკენ.

ყამირი მარტო პური როდია. ეს არის მრავალდარგოვანი ინდუსტრიის სწრაფი ზრდა. ეს არის ათობით ახალი თანამედროვე ქალაქი, ასობით მუშათა დაბა. ეს არის ენერგიული სამადნოები და კარიერები, არხები და წყალსატარები. ეს არის ახალშენებათა დიადი სურათი, ცხოვრების ყველა სფეროს უმჯობესობისა და ყაყვეების სურათი. ყამირი — ეს არის შესანიშნავი ადამიანები. ეს არის თანამედროვეობის ამაღელვებელი სინამდვილე და ჩვენი მომავლის შთამბეჭდავი პერსპექტივები.

გატეხილი და ათვისებული ყამირის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს საერთოდ სოციალისტური ეპოქის სრული სურათი, ისე როგორც არ შეიძლება იგი იყოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი ბრძოლა [illegible] გამოცდების გარეშე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, თქვა შემდეგ დ. ა. კუნაევმა, დარაზმეს ყამირის დასამუშავებლად უდიდესი ადამიანთა და მატერიალური რესურსები.

პირველი დღეებიდანვე ყველგან გაჩაღდა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. მთელ ამ მუშაობას ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწეოდა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით, ხაზი გაუსვა ორატორმა. ტყუილად კი არ უწოდებენ დღეს ყამირის ვეტერანები ერთმანეთთან საუბარში ლეონიდ ილიას-ძეს მთავარსარდალ-პირველყამირელს, ხოლო თავიანთ თავს — მის თანამებრძოლებს ყამირზე.

ჩვენ, ყაზახეთელები, დღეს დიდ მორალურ კმაყოფილებას განვიცდით, რომ ჩვენი ბედი დაკავშირებულია მხარესთან, რომლის გარდაქმნას ძველმოსახლეებთან ერთად იწყებდნენ პირველყამირელები — ყამირის ცხელი პლაცდარმების პირველი მებრძოლნი. მათგანაც და სხვებისგანაც დღეს იღებენ და ხვალ გადაიღებენ მაგალითს რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის ათასობით და ათასობით ახალგაზრდა მშრომელნი.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმათ გმირობას, ვინც პარტიის ნებით, გულის კარნახით გახდა უაღრესად ძნელი და ზდაპრულად მდიდარი ,ყამირის პირველაღმომჩენნი.

აი უკვე 20 წელია, რაც ყამირი მიწა სამუდამოდ მშობლიური გახდა სულ სხვადასხვა ეროვნების ათასობით და ათასობით ადამიანისათვის. და როცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ლაპარაკობს ყამირის ათვისებაზე, მოუდამ ხაზს უსვამს გმირული ეპოპეის ინტერნაციონალურ ხასიათს. ყამირის ათვისება ჭეშმარიტად გახდა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის მოქმედების ერთიანობის განსახიერება. ტყუილად ხომ არ იმეორებს ყამირის რუკა თავისი ახალი სახელწოდებებით ჩვენი დიადი სამშობლოს რუკას.

დღეს ჩვენი მადლიერების ყველაზე გულწრფელი სიტყვები, თქვა ორატორმა, ეკუთვნის დიდ რუს ხალხს — ჩვენს უფროს ძმასა და მეგობარს ერთიან და თანასწორუფლებიან საბჭოთა ოჯახში. სწორედ იგი, რუსი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი ლენინი, ყამირის ეპოპეაშიც ქვეყნის ყველა მოძმე ხალხისათვის გახდა მტკიცე, დასაყრდენი და იმედი, მამაცობის, შრომისმოყვარეობისა და უანგარობის, დიდი სულგრძელობისა და გულისხმიერების საუკეთესო მაგალითი. ყაზახი ხალხი დიდ რუს ხალხთან უძველესი დროიდან დაკავშირებულია საუკუნოვანი და მტკიცე მეგობრობით, ნამდვილი ძმობით, რომელიც ყველაზე განმტკიცდება ჩვენი საყვარელი საშშოლოს კეთილდღეობისათვის, ყველა თაობის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის.

მოხარული ვართ ყაზახეთის მიწა-წყალზე მივესალმოთ ყველა წარმომადგენელს, რომლებიც ჩვენთან ჩამოვიდნენ არა მარტო იმიტომ, რომ გაიზიარონ ჩვენი საერთო სიხარული, არამედ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოწიწებისადმი განიხილონ მათს წინაშე დასახული დიდი პრაქტიკული ამოცანები.

რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით დ. ა. კუნაევმა გულთბადი მადლობა გადაუხადა მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის, ყველა მოძმე რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მშრომელებს მუდმივი გულუხვი

(დასასრული მე-3 გვ.).

სსრ კავშირი „ექსპო-74“ გამოფენაზე

საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს „ექსპო-74“ მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც ეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის მაისიდან ნოემბრამდე. იგი ეძღვნება აქტუალურ თემას — გარემოს დაცვას.

საბჭოთა ექსპოზიციის შექმნაში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა სამინისტრომ და უწყებამ, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა. ექსპოზიციის მიზანია აჩვენოს დამთავალიერებლებს, როგორ წყდება საბჭოთა კავშირში გარემოს დაცვის პრობლემა, რა შესაძლებლობანია ამ დარგში.

საბჭოთა განყოფილების დამთვალიერებლები გაეცნობიან ატმოსფეროსა და წყლის რესურსების გაჭუჭყიანებისაგან დაცვას, ბრძოლას ნიადაგთა ეროზიის, მიწების რეკულტივაციის წინააღმდეგ, ქალაქთმშენებლობის ახალ პრინციპებს. უნიკალური დიორამები ასახავენ შუა აზიისა და ციმბირის ქალაქებსა და ლანდშაფტებს, მძლავრ ელექტროსადგურებსა და ბუნების თავისებურ კუთხეებს.

„ექსპო-74“ მსოფლიო გამოფენაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობას მიეძღვნა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც 14 მარტს გაიმართა მოსკოვში. იგი მოაწყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ.

როგორც პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, „ექსპო-74“ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, კანადა, მექსიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრალია და სხვა ქვეყნები.

საბჭოთა განყოფილებაში აისახება გარემოს დაცვაში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე განვითარებადი ქვეყნებისათვის ეფექტიანი დახმარების გაწევა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში. (საკედესის კორ.).

უკრაინის ავტომაგისტრალები

სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო კიევ-ბორიასპოლის ექვსზოლიანი ავტომაგისტრალი, რომელმაც უკრაინის დედაქალაქი დაუკავშირა რესპუბლიკის უდიდეს აეროპორტს.

საგზაო მშენებლობა უკრაინაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მეცხრე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადასცეს 18 ათას კილომეტრზე მეტი მარსაფარიანი გზა — 2.600 კილომეტრით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალება გზის მშენებლებმა გადაწყვეტეს დამთავრონ 1 დეკემბრისათვის და დამატებით გაიყვანონ 240 კილომეტრი ავტომაგისტრალი. (საკედესი).

ისტორიკოსები ყამირის ათვისებაზე

მოსკოვი. (საკედესის კორ.). ყამირის დაპყრობის — კომუნისტური მშენებლობის ისტორიის ამ ბრწყინვალე ფურცელს მიეძღვნა სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც 14 მარტს გაიმართა სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტში. სხდომა გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ა. პოლიანოვმა, რომელმაც აღნიშნა ყამირის მიწების ათვისების უდიდესი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა. ამ თემის შემდგომ შესწავლაზე, თქვა მეცნიერმა, ისტორიკოსებს დიდ დახმარებას გაუწევს ეს-ეს არის გამოსული წიგნი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის საკითხები და ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისება“, რომელშიც თამამოყრილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებები და სიტყვები, რომლებიც ეძღვნება პარტიის პოლიტიკას სოფლად, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ი. კულიკოვმა გააკეთა მოხსენება „ვ. ი. ლენინი და ყამირი მიწების ათვისება“.

ყამირის დამპყრობთა საგმირო საქმეებზე, ახალ მიწებზე მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებზე ისტორიკოსებს ბევრი შრომა აქვთ დაწერილი. სამეცნიერო საბჭოზე ეს შრომები მეცნიერულად გააანალიზა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ლ. ბოგდენკომ.

კორეის შრომის კარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კრებიდენტს ამხ. კიმ ირ სენს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს კრემიერს ამხ. კიმ ირს

ფხენიანი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო კომიტეტს, ადმინისტრაციულ საბჭოს და მთელ კორეელ ხალხს საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის 25 წლისთავს.

ამ შეთანხმებით დაიწყო ჩვენი ქვეყნების ფართო თანამშრომლობა ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში. შეთანხმების პრინციპები — სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთსარგებლიანობა და ურთიერთ მხარდაჭერა — განმტკიცდა და შემდგომ განვითარდა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებაში. დღეს კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა წარმატებით ვითარდება და მრავალმხრივი ხასიათისა ხდება.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირ-კორეის ტრადიციული მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა განუხრელად განვითარდება და განმტკიცდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყვე საფუძველზე, ჩვენი ქვეყნებისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ინტერესებისათვის. სულითა და გულით გისურვებთ თქვენ და მოძმე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ნშენიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

გაანვაცხოროციელოთ პარტიის წინასწარდასახულობანი

მოსკოვის საქალაქო XXI პარტიული კონფერენცია

15 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობას განაგრძობდა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXI კონფერენცია.

მეორე დღეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

დელეგატები დიდი დაინტერესებით განიხილავდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს, აანალიზებდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

კამათის მონაწილეები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მოსკოველი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას, მაღალ შეფასებას აძლევენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად წვლილს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა და ყველა მოსკოველის საქმიანობის, სოციალისტურ შეჯიბრებაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მათი შემოქმედებითი ინიციატივის იმ მაღალი შეფასებით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის გაშლილი საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან.

მოსკოვის საწარმოებში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია მათი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. თუ როგორ ასრულებენ ეს აკონტროლებენ ამ სამუშაოს ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომუნისტები, ამის შესახებ ილაპარაკა საწარმოს პარტკომის მდივანმა ვ. ი. გორბუნოვმა.

ბრიგადის პარტჯგუფი, განაცხადა „ზელენოგრადშენის“ სამმართველოს ბრიგადირმა ნ. ა. ზლობინმა, სათავეში უდგას მთელ კოლექტივს, მის ძალებს რაზმავს ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გამლილ შეჯიბრებაში მაღალი მიჯნების მოსაპოვებლად.

სოციალისტური შეჯიბრება ბევრი საწარმოს, მთელი დარგების მუშაობის მძლავრი ამჩქარებელი გახდა. თუ რა აქტიურად ავრცელებენ შეჯიბრების მთელ პროგრესულ მეთოდებსა და ფორმებს ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგია და პარტიული კომიტეტი, ამის შესახებ კონფერენციის დელეგატებს მოუთხრო ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა.

ამ დღესაც, ისევე როგორც წინა დღეს, კონფერენციის დელეგატები ლაპარაკობდნენ პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის უდიდეს მნიშვნელობაზე.

კომუნიზმის იდეალების ერთგულების სულისკვეთებით, მაღალი შეგნების სულისკვეთებით შრომელების, ახალგაზრდების აღზრდის გამოცდილება კონფერენციის დელეგატებს გაუზიარეს მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პარტკომის მდივანმა ლ. მ. ტერეშჩენკომ, სრულიად საკავშირო ალკგ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. შადრინმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ა. ულიანოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე დასახულ პასუხსაგებ ამოცანას — ეხმარებოდნენ პარტიას კომუნიზმის შენებელი ახალი ადამიანის აღზრდაში.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა, პარტიის ჩერიომშუნის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ნ. ჩაპლინმა და სხვებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ მოსკოველები პარტიის საპატიო დავალებას — გადაქცეინონ დედაქალაქი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

სიტყვა ეძლევა ვ. ვ. გრიშინს. მან თქვა, რომ 15 მარტს ალმა-ათაში გაიხსნა საზეიმო სხდომა, რომელიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების 20 წლისთავს ეძღვნება. სხდომის ყველა მონაწილე მხურვალედ შეხვდა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მკაფიო გამოსვლას, რომელმაც დიდი შეფასება მისცა მოსკოველთა წვლილს ყამირის ათვისებაში. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პირადად და სხდომის მონაწილეთა სახელით გულითადად ესალმება მოსკოვის საქალაქო პარტიულ კონფერენციას.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ვ. ვ. გრიშინმა კონფერენციის დელეგატთა მხურვალე მადლობა გადაუხადა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილი სიტყვებისათვის.

კონფერენციამ დიდი აღმავლობით გაუგზავნა მისალმება ალმა-ათის საზეიმო სხდომის მონაწილეებს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 21 დელეგატი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

კენჭს უყრიან დელეგატთა ბევრ გამოსვლაში გამოთქმული წინადადებას, რომ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნონ. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ. ასევე ერთხმად ამტკიცებენ სარევიზიო კომისიის მოხსენებას.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაც

პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა

(დასასრული).

დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ერთხელ კიდევ უდიდეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ლენინდ ილიას-ძეო, თქვა ორატორმა, სახელოვანი ყამირული ვნირობისადმი მიძღვნილ ზეიმობაში მონაწილეობისათვის.

ამხანაგ ლ. ი. კუნაევის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება. ქედრს საბჭოთა კავშირისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს.** ყველა ფეხზე დგება. დარბაზში დიდხანს ქუხს ტაში.

დარბაზში ქუხს ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!“, „ვაშა“.

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში 16 მარტს).

• • •

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ბოლო სიტყვებს საზეიმო სხდომის მონაწილეები ფეხზე ამდგარნი, მხურვალე ოვაციით ხვდებიან. შეკრებილნი ერთხმად გაიძახიან: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „საბჭოთა ხალხს — დიდება!“, „ყამირის დამპყრობლებს — დიდება!“, „ვაშა!“.

ტრიბუნაზეა პარტიის კუსტანაის სალოქ კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ბ. ბოროდინი.**

ყველა ჩვენგანმა, თქვა მან, უდიდესი ყურადღებით მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მაფიორ და შინაარსიანი სიტყვა, რომელშიც ღრმად ნაჩვენებია ყამირი მიწების ათვისებაში ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მნიშვნელობა და განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა.

ჩვენ უდიდეს მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, ამ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მისცეს ყამირელთა შრომას, მათს წვლილს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში, კომუნისტური შენებლობის საქმეში.

ყამირის დამპყრობთა გმირობა, თქვა მოსკოვის მყარი შენადნობების კომბინატის მწნეხავმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ნ. ა. სოკოლოვმა,** სამუდამოდ შევა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოთა ხალხის ბრძოლის ბატიანეში, მადლიერ შთამომავალთა მეხსიერებაში დარჩება, როგორც შრომითი გმირობისა და შემოქმედებითი გამბედაობის მაგალითი. ჩვენს წინაშეა შეენიერი მიზანი — კომუნიზმის შენებლობა, თქვა შემდეგ ორატორმა. მისი განხორციელებისათვის ჩვენ კვლავაც ბეჯითად ვიმუშავებთ, განვამტიკიცებთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ერთიანობასა და მეგობრობას, ჩვენი ხალხის შეკავშირებას კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მეთაურობს.

სიტყვა ეძლევა ყაზახეთის კომპარტიის კოქჩეტავის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს **ე. ნ. აუელბეკოვს.**

ყაზახეთის ყამირის ათვისებაში უდიდესი როლი ეკუთვნის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, თქვა მან. იმ სამახსოვრო წლებში ლენინ ილიას-ძე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას და მთელ თავის ორგანიზატორულ ნიჭს, მჩქეფარე ენერგიას, ბოლშევიკურ მეზნებარებას ახმარდა ამ დიდ საქმეს.

ყამირელებს ლენინგრადელთა სახელით მხურვალედ მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი.**

დღევანდელი ზეიმი, თქვა მან, განსაკუთრებული, სასიხარულო და ღირსშესანიშნავია იმით, რომ აქ დაუვიწყარი, ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ამ მკაფიო სიტყვაში მან საოცარად გულთბილად და გულითადად აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას, ყამირის დამპყრობთა გმირობას, და ჩვენ კიდევ ერთხელ მთელი ძალითა გიგრძენით, როგორ ბევრა სულიერი და ფიზიკური ძალები, როგორ დიდი შრომა მოახმარა პირადად ლეონიდ ილიას ძემ ჩვენი კომუნისტური პარტიის ამ გრანდიოზულ საქმეს.

ლენინგრადელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ბეჯითად შრომობენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისათვის. და ამ ენთუზიაზმით, ამ მტკიცე გადაწყვეტილებით მივაღწიეთ ყველაზე მაღალ შრომის ნაყოფს, მკაფიოდ ვლინდება ჩვენი პარტიის ლენინური კურსის ერთსულოვანი მხარდაჭერა.

დღეს, თქვა შემდეგ ორატორმა, თავის სიტყვაში ლეონიდ ილიას ძემ დაგვისახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების უაღრესად მკაფიო, კონკრეტული, დამრაზმველი ამოცანები.

ამ უმნიშვნელოვანეს მითითებათა შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე ლენინგრადელ მშრომელებს და ჩვენ ეს კარგად გვესმის. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშაობას მძლავრი და თანამედროვე ტექნიკით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისათვის.

ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას თავის უპირველეს, საბრძოლო ამოცანად მიაჩნია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად თქვენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, დავალება — ავითვისოთ ახალი, უფრო მძლავრი და ეფექტიანი ტექნიკა დროს მნიშვნელოვნად უფრო მოსახერხებელი მანქანის — „კ-701“ ტიპის სამასძალიანი მინდვრის გოლიათის სერიული გამოშვება. გაერთიანება „ციროვის ქარხნის“ მშრომელებმა, ყველა ლენინგრადელმა იკისრეს ვალდებულება ხუთწლედის დამლევამდე შესრულონ ეს რთული ამოცანა.

და დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეს პასუხსაგები ვალდებულება შესრულდება!

შემდეგმა ორატორმა, ცელინოგრადის ოლქის „შუისკის“ საბჭოთა მეურნეობის მემანდარე ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა, **მ. ე. დოვეიკმა** ლენინის ორდენოსანი ცელინოგრადის ოლქის მექანიზატორებისა და ყველა მშრომელის სახელით აღფთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელნი არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ენერგიას, გამოცდილებას და ცოდნას, რათა საამბოლო გაახორონ ახალი წარმატებებით, უფრე მოსავლიან და პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებით.

დარბაზში ისმის პირნერული საყვირების ხმა. ყამირის გმირთა მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი ლენინელები. სხდომის მონაწილენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან პიონერებს. ბავშვები მათ უპატაკებენ სწავლაში მოპოვებულ წარმატებებს, თავიანთ კარგ პიონერულ საქმეებს, აცნობენ, როგორ მონაწილეობენ მინდვრების და ფერმების სამუშაოებში. ისინი ფიცს დებენ, რომ ღირსეულად შეცვლიან უფროს თაობას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლებს.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **მ. ს. სოლომენცევს.**

ყველა ჩვენგანი, თქვა მან, დიდი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით მონაწილეობს ამ შესანიშნავ ზეიმში, — ყამირის დამპყრობთა თვალსაჩინო გამარჯვების დღესასწაულში.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ ზეიმში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელიც ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას მეთაურობდა ყამირის ეპოპეის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში და უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა ყამირი მიწების ათვისებაში.

დღევანდელი ზეიმი მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. თვალუწვდენელი ყამირი მიწების ათვისებას უაღრესად დიდი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მ. ს. სოლომენცევმა გულითადად მიულოცა ყამირის მეტურმის მეოცე წლისთავი საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით ყველას, ვინც თავდადებული შრომით ითვისებდა ამ მიწებს, ვინც დღესაც იქ მუშაობს.

რუსეთის ფედერაციის ყამირი რაიონების მიწათმოქმედები. ისევე როგორც ყველა ყამირელი, გულის სიღრმემდე აღფრთოვანებულ შეფასებამ, რომელიც ამ შრომამ მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ დამსახურებას ყამირის ათვისებაში, განსაკუთრებული მხარის ყველა საგმირო საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, თქვა შემდეგ ვ. ვ. ჭჩერბიცკიმ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვანი არიან თავიანთ მისწრაფებაში ამრავლონ სოციალისტური სამშობლოს ძალიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელებმა, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ და აქტიურად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კარგ შედეგებს მიაღწიეს.

ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია პარტიისა და ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების მონოლითური ერთიანობა.

ჩვენ ყველას გვაქვს ერთი მაღალი მიზანი, ერთი სწორი გზა, საერთო ნათელი მომავალი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **შ. რ. რაშიდოვს.**

დღევანდელი ზეიმი, რომელიც მოძმე ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა, ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების მასობრივი ათვისების დაწყების 20 წლისთავის გამო, თქვა მან, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ეს არა მარტო ყაზახი ხალხის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დიდი და სასიხარულო დღესასწაულია, რადგან ყაზახეთის ყამირის ათვისება საერთო სახელმწიფო, საყოველთაო-სახალხო საქმე იყო. და დღეს ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად ამაყობს იმით, რომ ეს დიადი საქმე სახელოვანი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

შ. რ. რაშიდოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ მასში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ერთგული ლენინელი, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, რომელიც ყაზახეთის ყამირის ათვისებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სული და გული, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

ყამირზე შეტევა გრძელდება, თქვა შემდეგ ორატორმა. ფართო ფრონტით წარმოებს იგი შუა აზიის რესპუბლიკებშიც. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიაფდა ფასეულობა, ბამბისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეო! შარშან ტაშკენტში, ბამბის მოისვენი რესპუბლიკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თქვენ მაღალი შეფასება მიეცით მებამბეთა შრომას, ალნიშნეთ, რომ „თეთრი ოქრო“ ოქროს ხელებს მოჰყავთ. ეს ფრაზა ახლა აფორიზმი გახდა. იგი ღრმად ჩასწვდა გულში ყველა მშრომელს. მებამბეთა მძიმე და გმირული შრომის თქვენმა მაღალმა შეფასებამ აღაფრთოვანა ისინი, ყველა სოფლის მშრომელი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ახალი შრომითი გმირობისათვის, რომლის მიზანია ბამბამბეობისა და მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. წელს უზბეკეთის მებამბეებმა „იკისრეს ვალდებულება საჭილმწოფოს ჩაბარონ სულ ცოტა ხუთი მილიონი ტონა „თეთრი ოქრო“.

ათასგზით გიძღვნით მადლობას, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეო, იმისათვის, რომ მამასავით ზრუნავთ რესპუბლიკის მებამბეებისათვის, ყველა მშრომელისათვის.

პარტიის ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ე. კრუჩინამ** თავის გამოსვლაში თქვა:

ახლანდელი და მომავალი თაობები მუდამ მადლობენ ჩვენ ქეყანაში მოგონებენ იმათ, ვინც ამ დიადი საქმის სათავეებთან იდგა, ვისაც წილად ხვდა პირველი ხნული ვალების სიძნელეც და ბედნიერებაც, ვინც გაახარა პირველმა მობიბინე ჯეკილმა. უკიდეგანო მოლეკარე ყანამ, პირველმა ყამირულმა თავთავმა.

განსაკუთრებით ვამაყობთ ჩვენ, ყამირელები, იმით, რომ მთელი დიდი და დაძაბული მუშაობა ახალი მიწების ასათვისებლად ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ პერიოდში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით.

ლეონიდ ილიას-ძე მთელ თავის ორგანიზატორულ ნიჭსა და მჩქეფარე ენერგიას, ცოდნასა და ბოლშევიკურ მეზნებარებას, საქმიანობასა და სულიერ სითბოს ახმარდა ამ დიად საქმეს. იგი დიდად ზრუნავდა ახალმოსახლეთა საქმეებისა და საჭიროებებისათვის.

შემდეგ ორატორმა თქვა:

1955 წლის 2 ივნისს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა პარტიის აკმოლინსკის საოლქო კომიტეტის პლენუმზე წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც ეტაპობრივად საპროგრამო მნიშვნელობა შეიძინა. ლეონიდ ილიას-ძე დაწვრილებით შეეხო პარტიული ორგანიზაციის მიმდინარე ამოცანებს და დიდი გატაცებით, ბოლშევიკური მეზნებარებით ილაპარაკა ყამირის მომავალზე, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის დიდი პოლიტიკური საქმე, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვამ განსაზღვრული იყო საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი. მან გასაოცრად ზუსტად და საფუძვლიანად წარმოგვიდგინა ყამირის მომავალი. შეგვიძლია მოგახსენოთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეო, რომ ჩრდილოეთ ყაზახეთში შექმნილია, ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს სოციალისტური ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი მძლავრი ბაზა.

თურღოის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ჟელეზნოდოროჟნის“ დირექტორმა **ე. კ. გორდუზოვმა,** შეეხო რა თავისი მეურნეობის წარმატებებს, აღნიშნა, რომ ახალი მიწების ათვისება, ქვეყნის მთელი ეკონომიკისა და კულტურის ამლანდელი სწრაფი ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან. მშვიდობის საქმეში ახალი დიდი წვლილი იყო საბჭოთა კავშირსაფრანგეთის მოლაპარაკება, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა.

ჩვენ გიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საჭირთაშორისო მოღვაწეობას.

ლენინ ილიას-ძე ბრეჟნევის ინიციატივა, მიზანდასახულობა და სიმტკიცე, ორგანიზატორული ნიჭი, სულიერი ძალები მოახმარა ამ ახალ და დიდ საქმეს ლეონიდ ილიას ძემ, რომელიც ამ სამახსოვრო წლებში მეთაურობდა ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ დღეს ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ დამსახურებას ყამირის ათვისებაში, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ამ საქმეში ლეონიდ ილიას ძის ადგილს.

ბოლო დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა მრეწველობისა და ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში.

ყველა ჩვენ გამარჯვების საწინდარია პარტიისა და ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების მონოლითური ერთიანობა.

ჩვენ ყველას გვაქვს ერთი მაღალი მიზანი, ერთი სწორი გზა, საერთო ნათელი მომავალი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **შ. რ. რაშიდოვს.**

დღევანდელი ზეიმი, რომელიც მოძმე ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა, ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების მასობრივი ათვისების დაწყების 20 წლისთავის გამო, თქვა მან, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ეს არა მარტო ყაზახი ხალხის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დიდი და სასიხარულო დღესასწაულია, რადგან ყაზახეთის ყამირის ათვისება საერთო სახელმწიფო, საყოველთაო-სახალხო საქმე იყო. და დღეს ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად ამაყობს იმით, რომ ეს დიადი საქმე სახელოვანი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

შ. რ. რაშიდოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ მასში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ერთგული ლენინელი, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, რომელიც ყაზახეთის ყამირის ათვისებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სული და გული, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

ყამირზე შეტევა გრძელდება, თქვა შემდეგ ორატორმა. ფართო ფრონტით წარმოებს იგი შუა აზიის რესპუბლიკებშიც. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიაფდა ფასეულობა, ბამბისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეო! შარშან ტაშკენტში, ბამბის მოისვენი რესპუბლიკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თქვენ მაღალი შეფასება მიეცით მებამბეთა შრომას, ალნიშნეთ, რომ „თეთრი ოქრო“ ოქროს ხელებს მოჰყავთ. ეს ფრაზა ახლა აფორიზმი გახდა. იგი ღრმად ჩასწვდა გულში ყველა მშრომელს. მებამბეთა მძიმე და გმირული შრომის თქვენმა მაღალმა შეფასებამ აღაფრთოვანა ისინი, ყველა სოფლის მშრომელი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ახალი შრომითი გმირობისათვის, რომლის მიზანია მებამბეობისა და მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ეს უზბეკეთის მებამბეებმა „იკისრეს ვალდებულება საჭილმწოფოს ჩაბარონ სულ ცოტა ხუთი მილიონი ტონა „თეთრი ოქრო“.

ათასგზით გიძღვნით მადლობას, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეო, იმისათვის, რომ მამასავით ზრუნავთ რესპუბლიკის მებამბეებისათვის, ყველა მშრომელისათვის.

პარტიის ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ე. კრუჩინამ** თავის გამოსვლაში თქვა:

ახლანდელი და მომავალი თაობები მუდამ მადლობენ ჩვენ ქეყანაში მოგონებენ იმათ, ვინც ამ დიადი საქმის სათავეებთან იდგა, ვისაც წილად ხვდა პირველი ხნული ვალების სიძნელეც და ბედნიერებაც, ვინც გაახარა პირველმა მობიბინე ჯეკილმა. უკიდეგანო მოლეკარე ყანამ, პირველმა ყამირულმა თავთავმა.

განსაკუთრებით ვამაყობთ ჩვენ, ყამირელები, იმით, რომ მთელი დიდი და დაძაბული მუშაობა ახალი მიწების ასათვისებლად ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ პერიოდში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით.

ლეონიდ ილიას-ძე მთელ თავის ორგანიზატორულ ნიჭსა და მჩქეფარე ენერგიას, ცოდნასა და ბოლშევიკურ მეზნებარებას, საქმიანობასა და სულიერ სითბოს ახმარდა ამ დიად საქმეს. იგი დიდად ზრუნავდა ახალმოსახლეთა საქმეებისა და საჭიროებებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენ, ყამირელებმა, ბევრი ვიზრუნეთ ადამიანურ ურთიერთობათა ჯანსაღ ნორმებზე, ბევრი ვიზრუნეთ ადამიანის ბედნიერებაზე, ბევრი ვიზრუნეთ ადამიანის ბედნიერებისა და ბედნიერ ცხოვრებისათვის. ეს ბევრი ადამიანური ურთიერთობა, ეს ბევრი ზრუნვა ადამიანზე,



გაანალიზებული ცხოვრების გზაზე

საბჭოთა აჭარა 53 წლისაა

ლ. დავითაძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

□ □

მრომლდაცამეტი წლის წინათ, 1921 წლის 18 მარტს, აჭარის მშრომელებმა გმირული წითელი არმიის, დიდი რუსი ხალხის უანგარო, ძმური დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები — მენშევიკების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ამით აჭარის მშრომელებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა საკუთარ ხელში აეღოთ ძალაუფლება და მთელი შესაძლებლობით ეზრუნათ შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

1921 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამის შემდეგ აჭარის ისტორიაში ახალი პერიოდი დადგა, დაიწყო ჩვენი მხარის ნამდვილი აღორძინება.

დღეს აჭარის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით თვალს ავლებენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულ დიდ წარმატებებს. ეს პერიოდი გაცილებით უფრო მდიდარია მიღწევებითა და ღირსშესანიშნავი მოვლენებით, ვიდრე ჩვენი მხარის მთელი წინანდელი ისტორია. აჭარის მშრომელებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოიპოვეს ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, პოლიტიკური თავისუფლება და თავი დაიღწიეს საუკუნეობრივ ეკონომიურ-კულტურულ და უფლებრივ ჩამორჩენილობას.

განვლილი 53 წლის მანძილზე აჭარა, ერთიან საბჭოთა ოჯახში მოწინავე ავტონომიურ რესპუბლიკად გადაიქცა. თანამედროვე აჭარა ცნობილია განვითარებული მრეწველობით, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობით და მოწინავე სოციალისტური კულტურით.

მიღწეული წარმატებების უდიდესი ტრიუმფი იყო აჭარის ასს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოება. აჭარის მშრომელთა გულში სამარადისოდ აისახა ის უდიდესი სიხარული და აღფრთოვანება, რაც ამ მარადასახსოვარი ბრძანებულების გამოქვეყნებამ გამოიწვია. იგი გადაიქცა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ საერთო-სახალხო დღესასწაულად. მიმდინარე წლის 22 თებერვალს გაიმართა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის ჯადაციმისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელზეც დიდი შეღასება მიეცა აჭარის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებულ შრომას. ამასთან ღრმად იქნა გაანალიზებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების უახლოესი ამოცანები, დიდი საუბარი გაიმართა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომელთა გამოსწორებაზე ენერგიის დაუზოგავად უნდა იმუშაონ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მაღალმა ჯილდომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის კანონიერი სიამაყის, სიხარულის ახალი მოზღვავება გამოიწვია, შთაგონა ისინი ახალი, უფრო მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის სამრეწველოდ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აჭარაში ვითარდება ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ხის დამუშავების, კოფეინის, ელექტრომოწყობილობათა, ტყავის, ჩაის, თამბაქოს და სხვა დარგების მრეწველობა, ძალას იკრებს და ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა. საბჭოთა აჭარის სამრეწველო საწარმოები აწარმოებენ რთულ ხელსაწყოებსა და მანქანადანადგარებს, მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქციას, რომელზეც დიდი მოთხოვნაა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთის მრავალ ქვეყანაშიც. აჭარის სამრეწველო კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ მათი პროდუქცია უპასუხებდეს თანამედროვე ტექნიკურ დონეს, გამოირჩეოდეს მაღალი ხარისხით. ქარხნის, ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის ბრძოლა გადაქცეულია სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ პირობად.

აჭარის რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა 1973 წელს პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს. წლიური დავალების გადამეტებით წარმოებულია 13 მილიონზე მეტი, ხოლო რეალიზებულია 12 მილიონამდე მანეთის პროდუქცია, ვალდებულება კი 10 მილიონ მანეთს ითვალისწინებდა. გაუმჯობესდა გამომშვებული პროდუქციის ხარისხი, 1973 წელს რესპუბლიკის მრეწველობის რვა ნაწარმს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა საექსპორტოდ გასაზავნი პროდუქციის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ 11 საწარმოდან, რომლებიც საექსპორტოდ გზავნიან პროდუქციას, თითქმის არცერთს არ მიუღია რეკლამაცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. დღეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ და ფართოდ განვითარებული დარგია, რომელიც ჩაის, ციტრუსების, ხილის, ყურძნის, თამბაქოს, ტუნგისა და სხვა ძვირფასი კულტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელია ჩვენს ქვეყანაში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად განმტკიცდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკა. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. თუ 1951 წელს აჭარის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 14.947 ათას მანეთს შეადგენდა, 1973 წლისათვის 40 მილიონს გადააჭარბა. ძირეულად შეიცვალა აჭარელი გლეხის ცხოვრება, განუხრელად მაღლდება მისი კეთილდღეობა, კულტურული ცხოვრების დონე.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გასული წელი თვალსაჩინო შრომითი წარმატებებით დაამთავრეს. კვლავინდებურად შეჯიბრების მოწინავეთა პირველ რიგებში იყვნენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში გარკვეულ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მეცტრუსეებმა, მეთამბაქოეებმა, მეხილეებმა და მეცხოველეობის მუშაკებმა, რისთვისაც რესპუბლიკამ დაამსახურა მაღალი ჯილდო — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა და ფულადი პრემია. გარდა ამისა, ასობით მშრომელი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკას სახელოვან მეჩაიეს ნადია ჯინჭარაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება.

რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად წარმატებით ვითარდება საზღვაო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი. მათი ეკონომიური მაჩვენებლები ყოველწლიურად უმჯობესდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვაო ტრანსპორტის მიღწევები. 1967 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩამოყალიბებით საქართველო საზღვაო რესპუბლიკად იქცა. ქ. ბათუმი შემთხვევით როდი შეირჩა სანაოსნოს ცენტრად, იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო ნავსადგურია. აქედან საბჭოთა კავშირის ბევრ ეკონომიურ რაიონში იგზავნება უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. დღეისათვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ალმით მრავალი გემი სერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია სატანკერო ფლოტის მდგომარეობა.

აჭარის ეკონომიკისა და კულტურის წარმატებით განვითარებამ, რაც მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში გახდა შესაძლებელი, ხელშემწყობი პირობები შექმნა აჭარის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

რევოლუციამდელ აჭარაში ისე, როგორც მეფის რუსეთის სხვა გარეუბნის მხარეებში, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. უცოდინარობა ლიკვიდირებულია. ამჟამად რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს საყოველთაო სავალდებულო ათწლიან სწავლებაზე გადასვლა. მშრომელთა განათლების საქმე ისტორიაში პირველად დადგა სწორ მეცნიერულ საფუძველზე. ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში სწავლობს 75 ათასზე მეტი მოსწავლე. საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარაში არ იყო უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლები, ახლა სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა რიცხვი 7 ათასს აღემატება.

აჭარის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შემოქმედებით ორგანიზაციებს — მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას, მხატვართა კავშირს, თეატრალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებებს, დიდ შემოქმედებითს წარმატებებს აღწევენ ბათუმის ალეკო პაჭკორიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, აჭარის სახელმწიფო და რევოლუციური მუზეუმები, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მოსახლეობის სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

სულ უფრო იზრდება და კეთილმეწყობილი ხდება აჭარის კურორტები. ყოველწლიურად დიდძალ დამსვენებლებსა და ტურისტებს იზიდავენ ჩვენი რესპუბლიკის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურისტული ბაზები. ფართოვდება სასტუმროებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი. 504-ადგილიანი კომუნალური სასტუმროს მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბათუმს ექნება თავისი „ინტურისტ“, ასეთივე სასტუმრო შენდება ქ. ქობულეთში ინტურისტის ხაზით.

ასრულებენ რა პარტიის XXIV კონგრესის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადწყვეტილებებს, საბჭოთა ორგანოებმა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა, ისინი გამოდიან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ინიციატორებად, სულ უფრო და უფრო აუმჯობესებენ და განამტკიცებენ მასებთან კავშირს, სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შესრულების შემოწმების უკეთესად მოწყობისათვის.

აჭარის მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებებით დაამთავრეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი და განსაზღვრეს ახალი მიჯნები ხუთწლედის მეოთხე წლისათვის.

მაგრამ ყველა ეს და სხვა წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ წლების მანძილზე არ ყოფილაო სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობის სხვადასხვა სფეროში, კადრების შერჩევისა და განაწილების დარგში. ისევე, როგორც მთელ საქართველოში, აჭარის ასს რესპუბლიკაშიც ახლა წარმოებს დიდი ორგანიზატორული, პოლიტიკური მუშაობა. ცხოვრების ყველა დარგში წესრიგის დამყარებისათვის. ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა შრომელი მხურვალედ მონაწილეობენ ყველა ღონისძიებაში, რომლებიც ხორციელდება ქვეყნის სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ცხოვრების ყველა დარგში წესრიგის დამყარებისათვის.

მაგრამ წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის ზოგიერთ უბანზე მდგომარეობა იმდენად თავმიწებებული აღმოჩნდა, რომ მიუხედავად დაძაბული მუშაობისა შარშან მისი გამოსწორება ვერ მოხერხდა. აქიღოთ თუნდაც კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენა აჭარის ასს რესპუბლიკაში. ამჟამად კაპიტალური მშენებლობის დონის ამაღლებისადმი, სხვა გადაუჭრელი საკითხების დროულად მოგვარებისადმი, მიპყრობილია საოლქო, პარტიული ორგანიზაციისა და ყველა სხვა ორგანიზაციების მთავარი ყურადღება.

ჩაბნელი და ბოლოდროინდელი [illegible] აჭარის საამოწყვლო კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის რეალიზაციის 1974 წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 21 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე უზრუნველყონ 10 მილიონი მანეთის ზედეგმეთი პროდუქციის რეალიზაცია.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 44 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 40 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 2500 ტონა თამბაქო, 7000 ტონა ხილი, მნიშვნელოვანი რაოდენობით ტუნგი, დაფნის ფოთოლი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხორცი, რძე, კვერცხი, აბრეშუმის პარკი და სხვა პროდუქცია.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აჭარის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკებმა.

აჭარის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უკვე გააჩაღეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

ღირსშესანიშნავ თარიღს — აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 53 წლისთავს მშრომელები ხვდებიან თვალსაჩინო წარმატებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. აჭარის მშრომელები ერთიან, ძმურ საბჭოთა ოჯახში, მტკიცედ დარაზმულნი კომუნისტური პარტიის დიადი დროშის ქვეშ, კვლავაც გასწევენ წინ კომუნიზმის გზით, მიიღწევენ ახალ დიდ გამარჯვებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეცხრე ხუთწლიანი გეგმით ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ადამიანი — ყურადღების ცენტრში!

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ქალაქ ფოთში, ზესტაფონსა და ქარელის რაიონებში საპენსიო კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პერმანენტულად განიხილავენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების დანიშვნისა და გაკეთების საკითხებს, სასავენ ღონისძიებებს საპენსიო კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისათვის. აღინიშნული საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია და კოლმეურნეობათა გამგეობები გარკვეულ დასმრებას უწევენ მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს საპენსიო დოკუმენტების შეგროვებასა და გაფორმებაში. მეტი ყურადღება ექცევა პენსიის საკითხებზე მთხოვნელთა დროულად, აგრეთვე განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვისა და მათზე პასუხის გაცემის საქმეს.

ამასთან აღინიშნა, რომ ფოთში, ზესტაფონისა და ქარელის რაიონებში საპენსიო კანონმდებლობის შესრულების საქმეს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

არის პენსიების დაგვიანებით დანიშვნის შემთხვევები. ირღვევა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების დანიშვნის კანონით გათვალისწინებული ნორმები. ქარელის რაიონში გასულ წელს პენსია არასწორად დაენიშნა 20 მოქალაქეს, რაც 6.920 მანეთს შეადგენს. დარღვევებია პენსიების ოდენობის განსაზღვრაშიც.

სათანადო ყურადღება არ ექცევა პენსიების დროულად ჩაბარების საქმეს. ზესტაფონის რაიონის სოფელ გვალიაში იყო შემთხვევები, როცა დამტარებელმა პენსიონერთა კუთვნილი ფული მითვისა.

ქარელის რაიონში არის შემთხვევები, როდესაც ფოსტის მუშაკები მნდობილობის გარეშე აძლევენ პენსიას სხვა პირს. ამავე რაიონის სოფელ რუისის საფოსტო განყოფილებაში 14 პენსიონერს ხელი არა აქვს მოწერილი პენსიის მიღებაზე.

სასოფლო საბჭოების აღმასკომები, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია, კოლმეურნეობათა გამგეობები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პენსიების დანიშვნასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ მუშაობას, საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა აღრიცხვას, საჭირო საბუთების გაცემას და სხვ. ასე, მაგალითად, ქარელის რაიონის ღირბის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის. გამგეობის მიერ ასაკის შესახებ გაცემული არასწორი ცნობების გამოა 1970-1973 წლებში პენსია უკანონოდ დანიშნა 15 კაცს. მსგავსი დარღვევებია ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, როდინოულისა და პირველი სვირის საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

ნაკლოვანებებია შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობაში. რესპუბლიკურმა კომისიამ შეიცვალა ზესტაფონის რაიონის შრომითი საექსპერტო კომისიის 11 დადგენილება ინვალიდობის ჯგუფის მიკუთვნების შესახებ; ასევე გააუქმა ფოთის შრომითი საექსპერტო კომისიის არა ერთი დადგენილება ინვალიდობის ჯგუფის მიკუთვნების შესახებ.

ქარელისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული და საკოლმეურნეო საბჭოები, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები არ ეწევიან საკმარის მუშაობას საპენსიო კანონმდებლობის განმარტებისათვის. კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში იშვიათად ეწყობა ლექციო-ბოსტნეულები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვა ღონისძიებები.

ფოთის საქალაქო, ზესტაფონისა და ქარელის რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, ასევე აღნიშნული რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო კონტროლს პენსიების დანიშვნისა და გაცემისას კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისადმი.

მაგალითად, ქარელის რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, ფოთის საქალაქო და ზესტაფონის რაიონული საბჭოების კანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივ კომისიებს უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთხელ არ განუხილავთ პენსიების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

პრეზიდიუმის სხდომაზე ასევე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. მ. მაღრაძის მოხსენება სამინისტროს დაქვემდებარებულ საწარმოებში „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ სამინისტროს მიერ უკანასკნელ პერიოდში ბრძოლა ლეგალურმა ღონისძიებებმა განაპირობეს წვრილმანი გატაცების შემთხვევათა შემცირება.

ბრძანებულების განმარტების მიზნით სამინისტრომ ჩაატარა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების რესპუბლიკური აქტივის კრება; ცალკეულ საწარმოებში პერიოდულად ამოწმებს მიღებული ბრძანებულების შესრულების მდგომარეობას და შედეგებს განიხილავს კოლეგიის სხდომებზე.

ამასთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბრძანებულების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საწარმოების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო მომთხოვნელოსას არ იჩენენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიმართ და, რაც მთავარია, არ იღებენ ზომებს წვრილმანი გატაცების ხელისშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის ღობე დაზიანებულია, სათამაშოების ფაბრიკის ტერიტორიაზე შესასვლელი კარი არ იკეტება; ორჯონიკიძის რაიონის სამრეწველო კომბინატში მოწყობილი არ არის სიგნალიზაცია, ხოლო ლითონკონსტრუქციების ქარხანაში ღია ცის ქვეშ აწყვია ნედლეული, მასალებისა და მზა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მთელ რიგ საწარმოებში არ აღრიცხავენ წვრილმანი გატაცების ფაქტებს და არ ამოწმებენ მზა პროდუქციის რაოდენობას ქარხნის ტერიტორიიდან გატანის დროს (თბილისის რეზინის ნაწარმისა და სათამაშოების ფაბრიკები, დუშეთის სამრეწველო კომბინატი).

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი საჭირო ყურადღებით არ ეკიდება წვრილმანი გატაცების ფაქტებს; ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ბათს მიჩქმალვას (თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ფაბრიკა, ბათუმის ქიმიური და სამსხმელო-მექანიკური ქარხნები და სხვ.). საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტური რევიზიების დროს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წვრილმანი გატაცების გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების გამორკვევას. იშვიათია მოულოდნელი რევიზიები, არარეგულარულად ტარდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს. არასაუწყვეობა დაცვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

არის შემთხვევები, როცა მილიციის ორგანოებსა და ამხანაგურ სასამართლოებს დაგვიანებით უგზავნიან მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ, ხოლო ღარი, თაკის მრავ, ზნირად არღვევენ საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილ ვადებს (თბილისის მექანიკური და რეზინის ნაწარმის ფაბრიკები). ირღვევა საქმეების განხილვის ვადები სახალხო სასამართლოებზე, ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტის დროს სასჯელის ზომად, როგორც წესი, ჯარიმას იყენებენ, რაც ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

საწარმოებსა და დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოციალისტური საკუთრის დაცვასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის განმარტება.

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1973 წელს შემოსული მშრომელთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ.

აღინიშნა, რომ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 7 დეკემბრის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 12 იანვრის დადგენილებების განხორციელებამ დიდად შეუწყო ხელი პრეზიდიუმის აპარატში მშრომელთა განცხადებების განხილვისა და მიღების საქმის გაუმჯობესებას.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში გაუზარდა საქმიანი და მამხილებელი ხასიათის წერილების შემოსვლა. წერილებისა და განცხადებების ბევრი ავტორი აყენებდა საკითხს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, მიუთითებდა ნაკლოვანებებზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და საბინაო მშენებლობაში, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურებაში, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში, ამხილებდა სახელმწიფო და საზოგადო ქონების მიმთვისებლებსა და სხვა დამნაშავეებს.

ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ცალკეული მუშაკები ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი, აჭიანურებენ მათ დროულად განხილვა-გადაწყვეტას და პასუხის გაცემას; ზოგიერთი საბჭოთა, სამეურნეო, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანო ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. არ სწყდება განცხადებებისა და საჩივრების არსს, არ წყვეტს მათ ობიექტურად, არ აძლევს დამაჯერებელ პასუხს, რის გამო განმცხადებლები ძალულებენ არიან მიმართონ ზემდგომ ორგანოებს.

არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა დელეგაციების ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სამინისტრო, უწყება, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანო დროულად არ უპასუხებს კონტროლზე აყენილ განცხადებებსა და საჩივრებზე.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა სხვა საკითხებიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ა. კარანაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ო. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კ. გოგლიძე.

მსოფლიო დღეს

ვიზიტი დამთავრებულია

კუალა-ლუმპური, 15 მარტი. (საკდესი). დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ი. ხ. ნასრედინოვას მეთაურობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი მალაიზიაში. სამმობლოში გამგზავრების წინ დელეგაცია მიიღო მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა ადდულ რაზაკმა. საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-მალაიზიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა პარლამენტარების ამ პირველი ვიზიტის განმასხვავებელი ნიშანია, განაცხადა ხაკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა იუსუფ ბინ შეიხ ადდულ რაჰმანმა, მისი დადებითი გავლენა არა მარტო ორი ქვეყნის პარლამენტთაშორისი კავშირურთიერთობის შემდგომ წარმატებულ განვითარებაზე. ვიზიტის შედეგები, აღნიშნა მან, უეჭველია, ხელს შეუწყობენ სხვადასხვა დარგში ურთიერთგაგების გაღრმავების საქმეს. ჩვენ კმაყოფილი ვართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტის შედეგებით და გვწამს, რომ მას მოჰყვება სხვა ვიზიტები სსრ კავშირისა და მალაიზიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, თქვა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა.

ფიცი დადო

ბრაზილია, 16 მარტი. (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული კონგრესის შენობაში გაიმართა გენერალ ერნესტ გეიზელისათვის პრეზიდენტის ძალაუფლების გადაცემის ცერემონია. გეიზელი მიმდინარე წლის 15 იანვარს აირჩიეს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.

ფიცის დადების შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა გამოაცხადა თავისი მთავრობის შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ანტონიო ფრანსისკუ აზერედუ.

ვილსონის განცხადება

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა 18 მარტს მოიწონა ხეფე სიტყვის შესწორებანი, რომლებიც კონსერვატორებმა შეიტანეს ხელფასის დარგში ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკის შესახებ, ჩემი წინადადება იქნება, ინგლისში გაიმართოს პარლამენტის ახალი არჩევნებიო. ლეიბორისტებს თემთა პალატაში 635 ადგილიდან აქვთ 301 ადგილი. კონსერვატორებს, რომლებსაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მიაღწიონ გასწორების მოწონებას, რადგან თემთა პალატაში 296 ადგილი აქვთ, მხარი დაუჭირეს ლიბერალებმა, რომლებსაც აქვთ 14 ადგილი.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის თემთა პალატის 24 წევრის — შოტლანდიისა და უელსის ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენელთა პოზიცია, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ კენჭის ყრის შედეგი.

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

შეწყდეს ხუნტის ფაშისტური თარეში!

მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნა

სურათზე: ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის პლაკატი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ჟურნალ „დემოკრატიულ ჟურნალისტში“.

პრაღა. დასავლეთ ჩეხიის ქალაქ პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელგანოქმული მანქანათსაშენებელი გაერთიანების „შკოდას“ პროფკავშირული ორგანიზაციის წევრებმა მოახოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც სამხედრო ხუნტის დილეგებში იტანჯებიან.

მიღებულ რეზოლუციაში ამ ნაწარმოს მუშებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულთა საგამოძიებო საერთაშორისო კომისიის მოწვევის შესახებ.

**სოფია. ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგები იმართება მთელ ბულგარეთში. მათი მონაწილეები ერთ

ბათუმი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ნათელ დარბაზებში

ბორკის ქუჩაზე ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული თვალსაზრისით ორიგინალურად გადაწყვეტილი სამსართულიანი შენობა. ეს ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ახალი შენობაა.

იგი ახლახან გაიხსნა. ნათელმა საგამოფენო დარბაზმა, სახელოსნოებმა და სასწავლო ოთახებმა მნახველთა მოწონება დაიმსახურა. ამჟამად სასწავლებელში ცოდნას ეუფლება 129 მოსწავლე. წელს მოეწყობა კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება.

მომავალ ზღვაოსნებთან

ბათუმის საზღვაო სასწავლებელს 80 წლისთავი შეუსრულდა. საზეიმო საღამოზე მოხსენებით გამოვიდა სასწავლებლის უფროსი ი. ოგანეზოვი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა ა. კაჭარავამ პედაგოგთა ჯგუფს გადასცა სანაოსნოს სიგელები. საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ნაკაშიძემ კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის სიგელებით დააჯილდოვა სასწავლებლის მოწინავე კომკავშირელები, ხუთოსნები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ტურისტული ნაკადი

აჭარის ღირსშესანიშნაობანი ტურისტთა ძირითად მარშრუტებში შედის. მარტო შარშან აჭარა ინახულა მსოფლიოს ძრავალი ქვეყნისა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის 800 ათასზე მეტმა ტურისტმა. ისინი ჩამოდიოდნენ მატარებლებით, გემებით, თვითმფრინავებით, ავტომანქანებით, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფეხით ლაშქრობდნენ.

საბჭოთა აჭარისადმი ინტერესი თანდათან იზრდება. მოეხედავად ზამთრისა, ეახვართებერკალში 20 ტურისტული მატარებელი ჩამოვიდა. აპრილიდან გაიხსნება საზღვაო მარშრუტები, მოიმატებს ტურისტული მატარებლები.

გაზაფხულის ვერნისაჟზე

ახლახან აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილია შ. ხოლუაშვილის, შ. ზამთარაძის, ნ. იაკოვენკოს, გ. სეჩინიანის, დ. ინაშვილის, თ. ჯალაღონისა და სხვათა ტილოები. ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდების ზ. ხაბაძის, მ. ხალვაშისა და სხვათა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

მ. გორგილაძე.

ბაკურიანი ემშვიდობება სტუმრებს

ბაკურიანი. 16 მარტი. (ტელეფონით). მუდამ სტუმართმოყვარე, „თეთრ მარგალიტად“ აღიარებული ბაკურიანის ათი დღე ჩვენი ქვეყნის ზამთრის სპარტაკიადების ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა სპორტის მიღწევათა და ხალხთა მეგობრობის ამსახველი გრანდიოზული მოვლენა.

უკანასკნელი აკორდი კოხტაგორაზე სპეციალურ სლალომისტთა ფინალური ასპარეზობა იყო. წინა დღით წვიმასა და ქარში სპორტსმენებს ძალზე გაუჭირდათ ბრძოლა და აი დღეს წინასწარ მომზადებულ ორ ტრასაზე ვხედავთ უძლიერესებს, იმათ, ვისაც ელოდებოდა მედლების უკანასკნელი კომპლექტი სამთოსათხილამურო სპორტში. სტარტზე გამოვიდა 70 სლალომისტი. პირველი ტრასის სიგრძე 450 მეტრი იყო 46 კარით, მეორისა — 465 მეტრი 45 კარით. სიმაღლეთა სხვაობა 170 მეტრს შეადგენდა. ბრძოლა ორივე ტრასაზე შეუპოვარი და მომზდველი აღმოჩნდა. ჩინებულად გამოვიდა ლატვიელი მოთხილამურე ი. ციგანუსი. მან აჩვენა დრო 1.26,24 და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედალი დაიმსახურა მ. ლოგინოვმა (პერმის ოლქი). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. ჯინოევმა და ლენინგრადელმა ნ. სნეფუროვმა მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს. მათი დრო იყო 1.27,59. ქაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ანდრეევმა (მურმანსკის ოლქი).

უკანასკნელი დღის ასპარეზობათა შორის ყურადღების ცენტრში იდგა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. სტარტზე გამოვიდა 67 „მფრინავი მოთხილამურე“. სწორედ ამ სახეობას ჰყავდა ყველაზე მეტი მაყურებელი. წინა დღით წვიმის შემდეგ თუმცა ძნელი იყო ტრამპლინის მომზადება, მაგრამ ყველაფერი დროულად იქნა გათვალისწინებული. შედეგები მაღალი აღმოჩნდა. ძირითადად ბრძოლა მმდინარეობდა ა. ეგლანოვს, გ. კლეპაცკის, ა. ბოროვიტინს, მ. გავას, ა. პეტროვს, გ. ნაპალკოვსა და კ. წაქაძეს შორის.

ორი ნახტომის ქულათა ჯამის მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ა. ეგლანოვი (ლენინგრადი, 239,4 ქულა). გორკის ოლქის წარმომადგენელმა ვ. კლეპაცკიმ ვერცხლის მედალი დაიმსახურა — 237,1 ქულა. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ი. ივანოვი (კარელიის ავტონომიური რესპუბლიკა, 234,4 ქულა). მ. გავამ მეექვსე ადგილი დაიკავა — 227,8 ქულა, კ. წაქაძემ მეათე — 224,2 ქულა.

70 და 90-მეტრიან ტრამპლინებიდან ხტომებში საერთო გუნდური მაჩვენებლებით საქართველოს გუნდმა 104 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. სპეციალურ სლალომში ფინალური ასპარეზობისა და ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ დაიწყო ამ სახეობაში გამარჯვებულთა [illegible]

16 მარტისათვის საერთო გუნდური მრავალბრძოლით ლიდერობას ინარჩუნებდა [illegible] 1.632 ქულა. საქართველოს გუნდი [illegible] 248,5 ქულა ჰქონდა. საბოლოო შედეგები შეჯამებული იქნება ხვალისათვის და გუნდების მდგომარეობაც სატურნირო ცხრილში ცნობილი გახდება.

დღეს ბაკურიანში სპარტაკიადის მონაწილეებმა და სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი სპორტიდან გულთბილად გაცილეს ჩვენი სახელოვანი მოთხილამურე, სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე.

დღისე აქ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადა საზეიმოდ დაიხურა. სპორტსმენებს წარმატებები მიელოცა და მომავალ დიდ შეხვედრებში გამარჯვება უსურვა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

სპარტაკიადის ალამი დაუშვეს ახალმა ჩემპიონებმა.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ესტრადა

მთელი მსოფლიოს მეღოდიები

ჯოჯულარული ორკესტრის გასტროლები

თბილისში, სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში წარმატებით მიმდინარეობს პოპულარული ხალხური ორკესტრის გასტროლები, რომლის ხელმძღვანელია ოლეგ ლუნდსტრემი.

კონცერტის პროგრამაშია საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების სიმღერები და საორკესტრო პიესები.

მაყურებელი გულთბილად შეხვდა თავის თანამემამულეს მომღერალ ირმა სოხაძეს, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ლადას“, რომლის ხელმძღვანელია ედუარდ კროლიკი, სოლისტებს დიმიტრი რომაშკოვს, ვლადიმერ არუსტამოვს, მუსიკალურ ექსცენტრიკოსებს ლუდმილა და იური ვასილოვებს.

სურათებზე: ქვემოთ — გამოდის ორკესტრი ო. ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით; ზემოთ — მღერის ირმა სოხაძე.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნიშანი

ნამდვილი ამბავი

ერთი წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი — მარიამ და ივანე ხუციშვილები ჯერ ისევ ახალგაზრდები გარდაიცვალნენ, ოჯახს სრულიად მოულოდნელად სამკვეული გამოეცალა, ოთხი არასრულწლოვანი ბავშვი ნათესავ-ახლობლების ინაბარად დარჩა. მალე ომი დაიწყო, ყველას საკუთარი გაჭირვება ჰქონდა და ობლების მოვლა-პატრონობა ვერავინ იკისრა...

გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძის მკვიდრი — ცხრა წლის ნანა ბებიამ სოფელ ველისციხეში წაიყვანა, თოთხმეტი წლის ანა ქუთაისის სატელეგრაფო სასწავლებელში გაგზავნეს, ხოლო რვა წლის ზურაბი და ხუთი წლის გივი დეიდამ — ელენე ღვინიაშვილმა აღსაზრდელად სოფელ არაშენდას უდედმამო ბავშვთა სახლს ჩაბარა...

მეტად ძნელი იყო დაძმებისათვის დაშორების წუთები, პატარები ერთმანეთს ეხვეოდნენ და გულამოჯდომი ტიროდნენ.

სულ რამდენიმე თვე ვავიდა ამის შემდეგ, რომ უფროსი ძმა ზურაბი ავად გახდა და გარდაიცვალა. იგი არავის არ დაუტირებია და ახლობელთაგან ვერც ვეშრომელი აღარ იყო ადგილზე, მას შემდეგ სომ ოცდაცამეტმა წელმა განვლო?!

გივის ძებნა გრძელდებოდა. ეს საპატიო საქმე დავალებული ჰქონდა გურჯაანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსს იოსებ ზაოშვილს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილების ინსპექტორს ნუნუ ჯაფარიძეს...

გატარდა სპეციალური გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებები, მაგრამ ამაოდ, სანუგეშო ინფორმაციაც აღმოჩენილა...

ერთ დღეს ზაოშვილმა გურჯაანის რაიონის ადგილობრივი რადიოთი აუწყა ყველას ხუციშვილების თავგადასავალი, უამბო ყველაფერი, რაც მათ მშობლების გარდაცვალების შემდეგ გადახდათ, ბოლოს ისიც დასძინა, რომ დები — ნანა და ანა დაეძებენ ძმას, ყველას სთხოვენ დახმარება აღმოუჩინონ და თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეატყობინონ.

მეორე დღესვე იოსებ ზაოშვილს სამუშაო კაბინეტში მიაკითხა ერთმა საშუალო ტანის ვაჟკაცმა და გამოეცხადა:

— ...გურჯაანელი ვარ. მყავს მეუღლე და ორი შვილი — ქალ-ვაჟი. ვმუშაობ სოფელ ბაკურიანში ვეტტექნიკოსად... ოცდათვრამეტი წლისა გახლავართ. მე ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი აღზრდილი მამობილდედობილი ოლია და რეზო ყალაბეგაშვილები ჩემი ნამდვილი შვილები არ იყვნენ, მაგრამ ასეთ ამბავს... ამჟამად, მართალია, ისინი ცოცხლები არ არიან, მაგრამ შვილების სადარად მიყვარდნენ და მარად მაყვანისმცემელი ვიქნები მათი. გთხოვთ შემახვედროთ დები, რომლებიც ძმას ეძებენ, მე ბუნდოვნად მახსოვს ჩემიანები, შვილიერი სითბო, ალერსი და კიდევ რაღაც-რაღაცები, იქნებ... გივი ყალაბეგაშვილს ცრემლები მოადგა თვალზე, აღტაცებულ მღელვარებას ვერ მალავდა.

„მგონი მივაგენი“ — გაიფიქრა ზაოშვილმა და ქმაყოფილმა სასწრაფოდ მახვანა აფრინა ველისციხეში და ნანა ჩამოიყვანა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. გივი ყალაბეგაშვილი, ნანა ხუციშვილი და იოსებ ზაოშვილი ერთმანეთს მისჩერებოდნენ და რატომღაც ეერც ერთს სიტყვის თქმა ვერ გაბედა...

— ნანა, — დაარღვია დუმილი იოსებმა, — რას გაჩერებულხარ, კარგად დააკვირდი და თქვი რამე!

— აბა რა ეთქვა, — შემკრთალ-შეშინებული მიაჩერდა გივის, — შენ თუ მართლა ჩემი ძმა ხარ, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ნაკრილობევი გექნება. გუშინდელივით მახსოვს, ეზის სასხლავი მაკრატლით თითი რომ გაიკვრი, სისხლი გდიოდა და ტიროდა...

გივიმ დაიხედა საჩვენებელ თითზე და იყვირა:

— ნანა!

— გივი, ბიჭო, შენა ხარ? — აქვითინდა და. იმ წუთს მთელ ქვეყანაზე მათზე უბედნიერესი არავინ იყო.

შემდეგ ერთმა ახლახან ნაპოვნმა საუთმა საბოლოოდ დაადასტურა მათი დაძმობა.

გ. პაპიაშვილი,
მილიციის პოლკოვნიკი.

სურათზე: დაძმა გივი, ნანა და მილიციის უფროსი ლეიტენანტი იოსებ ზაოშვილი.

გ. კიკვაძის ფოტო.

ციტრა

მშრალი წვიმა

მანეულა საოცრება

„სიმვოლოკოვი მსოფლიოში ერთადერთი მსახიობია, რომელიც ხომრებს წყლით ასრულებს და მანეულ მაყურებლისათვის სრულებით გაუგებრად მოქმედებს“.

„სიმვოლოკოვი თავის ქერა ასისტენტ ქალიშვილთან ერთად მაყურებელს აიძულებს თავი იმტერიოს რებუსის ამოხსნაზე: როგორ ხერხდება ყოველივე ეს?“ — ის, რასაც სიმვოლოკოვი აკეთებს, იმათაც კი არ შეუძლიათ გამოიცნონ, ვისთვისაც საცირკო მაგია უცხო ხილი არ არის“—წერს უცხოეთის პრესა.

ქალაქ გოტტებორგში საბჭოთა ილუზიონისტის მისტერ სიმვოლოკოვის ბინაში ღამით შეიპარნენ და... სცადეს მისი საოცარი ნომრების „საიდუმლოს“ მოპარვა... მძარცველებმა გადაქექეს მსახიობის მთელი რეკვიზიტი, დაჭრეს ხალიჩა, რომელზეც იგი მუშაობდა, მაგრამ წაიღეს მხოლოდ... ვედრო!

დღეს ილია კალისტრატეს-ძე სიმვოლოკოვი, „ბატონი წვიმა“, „კაცი — ქოლგა“, „ადამიანი — მამოცანა“ — ჩვენს ქალაქ-ქალაქს სტუმარია და უკვე რამდენიმე დღეა დიდი წარმატებით გამოდის თბილისს ცირკის სარბიელზე. სიმვოლოკოვთან ერთად სასტუმრო „ცირკის“ ნომერში ვზიხართ და შინაურულად ვსაუბრობთ.

— კადეეკაში ხაბაზის ოჯახში ვიზრდებოდი; — იგონებს მსახიობი, — ვსწავლობდი სოფლაში და სპორტს ვეტანებოდი, განსაკუთრებით აკრობატიკა მიყვარდა. ათი წლისა ვიყავი, როცა პირველად ვიხილე სახელგანთქმული ჟონგლიორი კისი. ერთი ნატყვიით, ვიხილე ნამდვილი ცირკი და მისი „სენიც შემეყარა“. აბა, ასანთის კოლოფი მაგიდაზე გადმოაპირქვავეთ, — მეუბნება სიმვოლოკოვი და მეც ვასრულებ ილუზიონისტის თხოვნას.

— 30. ზუსტად ოცდაათი! მართლაც არ შემცდარა...

„წყლის ფეერია“, რითაც ილია სიმვოლოკოვი აგერ მეექვსე დღეა ტრიუმფალურად გამოდის მაყურებელთა წინაშე, მსოფლიოში ერთადერთი ატრაქციონია, რომლის გამოცნობაც ჯერჯერობით ვერავინ შეძლო.

— ერთხელ, — იგონებს ილია კალისტრატეს-ძე, — მოსკოვში საგასტროლოდ გახლდით. წარმოდგენას ესწრებოდა გამოჩენილი საბჭოთა კონსტრუქტორი ტუპოლევი. ჩემი გამოსვლის შემდეგ ანდრია ნიკოლოზის-ძე ტუპოლევს უთქვამს: „მართალია, მე კონსტრუქტორი ვარ და მთელი ჩემი სიცოცხლის ხანგრძლივი წლები ტექნიკასთან არის დაკავშირებული, მაგრამ სიმვოლოკოვი მაინც მოაცებს. ვერ გამიგია, როგორ აკეთებს იგი ყოველივე ამას. არავინ არ ოხრავს და გრძნობას არ კარგავს, როცა ქალს „ორად ხლეჩენ“ ან დაშნას ყლაპავენ. ესენი ოდითგანვე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ სიმვოლოკოვის ნომრებზე მე ჯერ არც არაფერი გამიგონია და ვერც თავად გამომიცანია — იგი ნამდვილი ჯადოქარია“.

სიმვოლოკოვს მარტო ტუპოლევი, როდი განუცვიფრებია. ეი როგორ აფასებს მის ოსტატობას ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ი. დმიტრიევი: „თუმცა იგი ოქროსფერ ფარჩის სმოკინგშია გამოწყობილი, მაინც საოცრად მაგონებს თანამედროვე ინჟინერს. მისი მოქმედების ადგილი ლაბორატორია მგონია, სადაც ნაირფერი სასწაულები ხდება. ეს არის, თუ გხედავთ, ჩვენი დღეების თეატრალიზებული ლაბორატორია, რომელშიც ყველაფერია — ფანტასტიკური რომანებიდან კინოფილმებამდე. თავისი წარმოდგენებით მსახიობი თითქოს გვეუბნება: მეცნიერებას დაუფლებული ადამიანი დღეს ყოველისძმძლეაო“...

„წყლის ფეერიის“ „ოპერაციაზე“, მსახიობს ექვს წელზე მეტი უმუშავია. ახლა ძისი „ხელობა“ წყალი გახდა...

მაინც რას წარმოადგენს ეს ნომერი?

იგი იწყება... თუმცა სჯობს ატრაქციონი მხახვლმა შეფასოს და ამიტომ მისი აღწერისაგან თავს ვიკავებთ.

ორმოცი წელია საცირკო ხელოვნებას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში სულ შვიდი საიდუმლო ნომერი შექმნა! ყოველ ახალ ნომერს დიდძალ დროსა და ენერგიას ანდომებდა. თანამედროვე ილუზიონისტი მარტო თვალთმაქცური მანიპულაციების აბაბანით შორს ვერ წავა — იგი უნდა იყოს კარგი გამომგონებელი, უნდა გაარნდეს გარკვეული ცოდნა ფიზიკისა და ქიმიის დარგშიც, კარგად უნდა ფლობდეს სახარატო და სადურგლო ინსტრუმენტებს. ილია კალისტრატეს-ძე წლობით მუშაობს თავის ყოველ ნომერზე, თვითონ ქმნის რეკვიზიტს, მუდამ ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, საინტერესო, რაც ჯერ არავის შეუქმნია.

სიმვოლოკოვს მოვლილი აქვს ინდოეთი და ტაილანდი, სინგაპური და ინდონეზია, ნეპალი და სირია, შვედეთი და დანია, ნორვეგია და ეგვიპტე... ყველგან დიდი წარმატება იყო მისი წარმოდგენების ხვედრი.

და, აი ოცდაათწლიანი „შესვენების“ შემდეგ იგი კვლავ წარმატებით იწყებს გასტროლებს საქართველოს დედაქალაქში. მასთან ერთად სარბიელზე გამოდიან მსახიობის მეუღლე ანა თევდორეს ასული და თოთხმეტი წლის ქალიშვილი სვეტლანა.

ვკითხე, თქვენი ოჯახის წევრებმა თუ იციან ამ ნომრის საიდუმლო-მეთქი.

— რასაკვირველია, არა!.. ილუზიონისტები სიტყვაძვირი ხალხია, — ღიმილით მიპასუხა სიმვოლოკოვმა... ყველამ, ვინც მოისურვებს მისი საიდუმლოს ჩაწვდომას, უთუოდ უნდა ისარგებლოს შემთხვევით და ნახოს ეს საოცარი საცირკო წარმოდგენა თბილისის ცირკში. არავინ ინანებს — ილია სიმვოლოკოვი მართლაც ნამდვილი ჯადოქარია — წყლის დახელოვნებული მბრძანებელი.

შ. სვანი.

სურათზე: ი. სიმვოლოკოვი.
ავტორის ფოტო.

ლამაზი, როგორც დილარამ



ქალი ქანცი

საპადრაკო კომპოზიციის ინტერესი ქალს დიდი ხნის წინათ გაუჩნდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არაბული ლეგენდის პერსონაჟს მშვენიერ დილარამს, რომელმაც თითქოს სახელგანთქმული სამსვლიანი საშამათო კომბინაცია განახორციელა, კომპოზიციის პიონერად ქალებს შორის ა. ხელვიგი უნდა ჩაითვალოს. მისი ამოცანები შესულია გერმანული ჭადრაკის თეორეტიკოსის მ. ლანგეს მიერ 1862 წელს გამოცემულ საამოცანო კრებულში. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ქალის მიერ შედგენილი პირველი ამოცანა გამოქვეყნდა ზუსტად ერთი საუკუნის წინ — 1874 წელს ჟურნალ „ვსემირნაია ილუსტრაციას“ ფურცლებზე, სადაც საჭადრაკო განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი ოსტატი ი. შუმოვი. ამოცანის ავტორი იყო ე. შულდინა-ტოლსტაია.

ამჟამად კომპოზიცია საკმაო პოპულარობით სარგებლობს მრავალი ქვეყნის ქალთა შორის. საბჭოთა კავშირში მათი შემოქმედება განვითარებულია ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის, ლატვიის, ყაზახეთის და განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებში. დროდადრო მათთვის სპეციალური შეჯიბრებებიც კი ეწყობა. დღეისათვის ალმა-ათელი პედაგოგი ე. პეპელავა უძლიერესი საჭადრაკო კომპოზიტორი ქალია მსოფლიოში. სამწუხაროდ, საქართველოში, სადაც ქალთა ჭადრაკის განვითარების მაღალი დონე საქმეყნდ არის ცნობილი, ქალების როლი კომპოზიციაში ჯერჯერობით მხოლოდ ამოხსნების კონკურსებში მონაწილეობით იფარგლება.

საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიაში უნიკალური მოვლენაა ინგლისელი ქალი ედიტ ბერდი (1859-1924), რომელმაც 1883 წლიდან დაიწყო ამოცანების გამოქვეყნება. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან შეადგინა და დაბეჭდა ათასზე მეტი (!) სხვადასხვა ჟანრის საკომპოზიციო ნაწარმოები. ე. ბერდი პრობლემისტ მამაკაცებს წარმატებით ეპაექრებოდა კონკურსებში, სადაც მან 15-მდე უმაღლესი ჯილდო და მრავალი სხვა შეფასება მოიპოვა. მანვე იზეიმა აბსოლუტური გამარჯვება ინგლისური ჟურნალის „გართობის საათის“ მიერ 1901 წელს მოწყობილ ქალთა პირველ კონკურსში. ერთი წლის შემდეგ ლონდონში გამოვიდა მისი 700 ამოცანის კრებული, რომელიც პოლიგრაფიული და მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა ყველა დროის საჭადრაკო წიგნებს შორის. 1907 წელს ე. ბერდმა გამოსცა მეორე წიგნი „საჭადრაკო ფანტაზიები და სხვითი ამოცანები, სადაც ყოველ ნაწარმოებს კომენტარის სახით თან ახლავს სათანადოდ შერჩეული ტექსტი შექსპირის ნაწარმოებებიდან. ამ გამოჩენილი პრობლემისტი ქალის თვითმყოფადი შემოქმედება საყურადღებოა საინტერესო საამოცანო იდეებით, რომლებიც უფრო მოგვიანებით ფართოდ იქნა აღიარებული. მკითხველებს ამოხსნისათვის ვთავაზობთ მის სამსვლიან მინიატურას, რომელიც ლამაზ სანიმუშო შამათებს შეიცავს.

ე. ბერდი, 1893



შამათი სამ სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, მეგობრებო!

ვ. ნეიძე.

მეხუთე ტრადიციული...

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში

თბილისში უკვე მეხუთე წელიწადია ტარდება საერთაშორისო ტურნირი სიმაღლეზე ხტომაში. ახლანდელ შეჯიბრებაზე, რომელიც ტრადიციულად სპორტის სასახლეში გაიმართება 17 და 18 მარტს, რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რობერტ შავლაყაძის პრეზიდიუმობით ერომანეთის შეეცილებიან საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, შვეიცარიასა და ბერ-ის უძლიერესი მძლეოსნები — სულ 40-მდე სიმაღლეზე მხტომელი.

მონაწილეთა შორის ვიხილავთ ისეთ აღიარებულ სპორტსმენებს, როგორიც არიან XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იური ტარმაკი, ევროპის ჩემპიონი დახურულ დარბაზებისათვის კესტუტის შაპკა, მიუხედავად ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვალენტინ გავრილოვი, რომის ოლიმპიადის მონაწილე, ვეტერანი ვიტენორ ბოლშოვი და სხვ.

ძლიერი კონკურენცია არის მოსალოდნელი ქალთა შორისაც, რომელთაგან ფავორიტებად ითვლებიან გ. ფილატოვა (პირადი რეკორდი 185 სმ.), ტ. გალკა (184) და ო. ბონდარენკო (183).

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ: ქალთა შორის — მარინა ალიაკრინსკაია, ვაჟებში კი — ვლადიმერ პოპოვი.

ზ. გომართელი.

სპორტის ამბები

□ **კალათბურთი.** 15 მარტს გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. მოსკოვის დინამოელები მასპინძლობდნენ თბილისელ თანაკლუბელებს. დედაქალაქის კალათბურთელები პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ 9 ქულით — 42:33, ხოლო მატჩი მოიგეს 21 ქულის სხვაობით — 92:71. ამავე დღეს კაუნასის „უალგირისმა“ დაამარცხა კიევის „სტროიტელი“ — 91:83, ხოლო მინსკის რტი-მ — კიევის სკა — 80:77.

□ ხელბურთი. კიევის „სპარტაკის“ ქალთა გუნდმა უკრაინის დედაქალაქში მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ბელგრადის „რადნიჩკისთან“ — 14:8 (8:4). სპასუხო შეხვედრა გაიმართება 23 მარტს იუგოსლავიის დედაქალაქში.

□ **მაგიდის ჩოგბურთი.** დამთავრდა ევროპის ლიგის მორიგი პირველობა, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა უნგრეთის ნაკრებმა. მეორე ადგილზეა შვეიცის გუნდი. გასული წლის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები (4 მოგება, 2 დამარცხება) გამოვიდა მესამე ადგილზე. შემდეგ მოდიან ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, გფრ-ისა და ავსტრიის გუნდები.

□ **ჭადრაკი.** დამთავრდა საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის. გოგონებში კონკურენციის გარეშე იყო რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი — 9,5 ქულა 11 შესაძლებლიდან. ჭაბუკთა შორის 13 შესაძლებლიდან ათ-ათი ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ზ. აზმაიფარაშვილმა და ზ. ბურჭულაძემ. ზ. აზმაიფარაშვილს თავისი წოდების დამთმობა მოუხდა ზ. ბურჭულაძისათვის, რომელთანაც წააგო პირადი შეხვედრა.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრსპ., 74).

18 მარტს

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე 1/16 ფინალი

„დინამო“ (თბილისი)

„პამირი“ (დუშანბე)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ტელევიზია

17 მარტი

პირველი პროგრამით

10.00 — გადაცემათა პროგრამა, 10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შვეიწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „რობინზონ კრუზოს ცხოვრება და საოცარი თავგადასავალი“, 14.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.00 — „კინოფიშა“, 15.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — „სამეჯლისო ცეკვების კონკურსი“ 17.00 — მოსწავლეთათვის — „კარი დასაწყისი“, 17.15 „საერთაშორისო პანორამა“ „გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — — „საჭადრაკო სკოლა“, 18.15 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 18.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.05 — სპორტული გადაცემა, 19.25 — „კინოლექტორიუმი“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — — საესტრადო კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.05 — კონცერტი, 18.35 — სატელევიზიო დადგმა, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „პრინცესა ლიუსკას ნაპირი“.

18 მარტი

პირველი პროგრამით

17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — „ბერბეროვები, ბავშვები და ლომები“, 18.40 — „მსოფლიო დღეს“, 18.55 — რუსპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.15 — „ტომსკის ოლქის შემხვედრი გეგმები მოქმედებაში (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ახალგაზრდობა“ სატელევიზიო პროგრამა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი — „ერთი ქარხნის თვითმქმედება“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — შეხვედრები საბჭოთა კავშირის თასზე „დინამო“ (თბილისი) — „პამირი“ (დუშანბე) — II ტაიმი (ვიდეოჩანაწერი), 23.20 — ახალი ამბები, 23.30 — კინონარკვევი, 23.50 — საერთაშორისო შეჯიბრება ძალოსნობაში მეგობრობის პრიზზე (გადმოცემა ერევნიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად: მათემატიკა (VI კლასელთათვის), 18.30 — მოსწავლეთათვის „ბუხარა“ — ქალაქი-მუზეუმი“. 19.05 — განცხადებები, 19.10 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად: ქიმიაში, 20.10 — ფილოსოფიაში, 20.55 — სატელევიზიო ფილმი.

თეატრები

17 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური (ვაჟა-ფშაველას პრსპ. № 43) — **ბანდეგილი** და **კონცერტი** (დღითით), **ჯაბა ბაბაჯანიანი** (საღამოს I ადგ. I წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხიდი** (დღისით), **საბარალდეგო დასკვნა** (საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **ბერნარდა ალბას სახლი**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხსოვნა გულისა** (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მზიარული მელოდიები** (დღისით), **ჩანიბას კოცნა** (საღამოს).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-93-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახსწავლებლებისა და სკოლების 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60